საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

სამართლის სკოლა

მარი ქუთათელაძე

განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში

ანოტაცია

საქართველოში სრული მასშტაბით ამოქმედებულ „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკას 2009 წლიდან მკაცრი კრიტიკა მოჰყვა. „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკამ საქართველოში მიზანი ვერ გაამართლა. ყოველწლიურად იზრდებოდა ძალადობრივ დანაშაულთა ჩადენის მაჩვენებელი, რომელიც შემაშფოთებელ სურათს გვაძლევდა. ეს გასაგებიცაა თუ, ნულოვან ტოლერანტობას სასჯელის გარდაუვალობად მივიჩნევთ, მაშინ მას გამართლება აქვს. თუმცა იგი გაგებული იქნა პირდაპირი მნიშვნელობით, როგორც დაუნდობლობა დამნაშავის მიმართ. სწორედ აღნიშნულის გამო დღის წესრიგში დადგა რეფორმათა ახალი ტალღის აუცილებლობა და სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალურ ფაზაზე გადასვლა.

სწორედ „ნულოვანი ტოლერანტობიდან“ „ლიბერალურ“ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე გადასვლის დასტურია 2010 წლის 24 სექტემბერს საკნონმდებლო დონეზე მოწესრიგებული „განრიდებისა და მედიაციის“ პროგრამა, რომელიც ჯერ არასრულწლოვანთა, ხოლო მოგვიანებით სრულწლოვან პირთა მიმართ გავრცელდა. პროგრამა სისხლისსამართლებრივი დევნის საუკეთესო ალტერნატიული ღონისძიებაა, რომელიც აქტიურად და წარმატებულად გამოიყენება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. კანონმდებელი „განრიდებისა და მედიაციის“ პროგრამაში მონაწილეობისათვის არასრულწლოვან და სრუწლოვან ბრალდებულებს რადიკალურად განსხვავებულ სტანდარტებს უწესებს. მსგავსი მიდგომა აღნიშნული პროგრამით არც ერთ ქვეყანას არ გააჩნია. სწორედ პროგრამაში მონაწილეობისათვის დადგენილი სტანდარტებით დისკრიმინაციას განიცდიან არასრულწლოვანი ბრალდებულები და საფრთხის ქვეშ დგება პროგრამის გამოყენების მიზნები, რაც საკანონმდებლო ხარვეზია, რომელიც დახვეწას და მოწესრიგებას საჭიროებს.